საქმე №330350021004462799
საქმე №3/1461-21

6612520845697
www.ecd.court.ge

ბრძანება
საქართველოს სახელით

18 მარტი, 2021 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ლელა მილდენბერგერი

შუამდგომლობის ავტორი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1591 (2005) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი სუდანის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სიიდან ამოღებული ფიზიკური პირის ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა და

გამოარკვია:

2021 წლის 17 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს განსახილველად დაეწერა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1591 (2005) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი სუდანის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიიდან ამოღებული შემდეგი პირის (1 ფიზიკური პირის) ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე:

პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	სახელწოდების სხვა ვარიანტები, ზედმეტსახელ(ებ)ი	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
<u>*სახელები:*</u> 1. ადამ (ADAM) 2. სჰარეიფ (SHAREIF) <u>*დაბადების*</u>	ა) ადამ იაკუბ სჰანტ (Adam Yacub Shant) ბ) ადამ იაკოუბ (Adam Yacoub)	ა) პასპორტის ნომერი: P00182993, გაიცა 2010 წლის 19 ივლისს		2006 წლის 25 აპრილიდან 2011 წლამდე და 2018 წლის 14 ივნისს.	ოფიციალურ გაზეთში 2012 წლის 2 ივლისს.

თარიღი: ა) 1970 წლის 1 იანვარი (1 Jan. 1970); *დაბადების ადგილი:* ელ-ფასჰერ (El-Fasher) *მოქალაქეობა:* სუდანი *თანამდებობა:* სუდანის განმათავისუფლებელი არმიის (SLA) მეთაური		(ვადა შეუწყდა 2015 წლის 18 ივლისს) ბ) ID ბარათის ნომერი: 103-0037-6235 (როგორც მითითებულია პასპორტში)		მარტს. (25 Apr. 2006 (amended on 14 Mar. 2018))	ფოტოსურათი ხელმისაწვდომია მისი ინტერპოლის -გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალურ განცხადებაში შეტანის მიზნით. Reportedly deceased on 7 June 2012. Photo available for inclusion in the INTERPOL-UN Security Council Special Notice.

ამასთან, შუამდგომლობის მიხედვით, აღნიშნულ პირთა ქონებას ყადაღა დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივლისის (საქმე N3/4406-18) ბრძანებით.

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{30} მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომელთა მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

ამავე კოდექსის 21^{34} მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას განიხილავს თავმჯდომარე პირველი ბრძანების გამომცემი სასამართლო „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სამთავრობო კომისია ვალდებულია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი პირის ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობით გაეროს სანქციების კომიტეტის გადაწყვეტილებით მისი სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან ამოღების შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ამ კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეჭვისთვის საკმარისი საფუძველი აღარ არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული ბაზიდან მოძიებული დოკუმენტით დგინდება, რომ შუამდგომლობით მითითებული ფიზიკური პირის ქონებას ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ივლისის (საქმე N3/4406-18) ბრძანებით დაედო. შუამდგომლობით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კი სასამართლო ადგენს, რომ აღნიშნული პირი ამოღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1591 (2005) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი სუდანის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიიდან.

დასახელებული გარემოებებისა და ნორმების მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს შუამდგომლობით დასახელებული პირის ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{30}, 21^{34} მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ივლისის ბრძანება (საქმე N3/4406-18) იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო შემდეგი ფიზიკური პირის ქონებას:

პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	სახელწოდების სხვა ვარიანტები, ზედმეტსახელ(ებ)ი	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
<u>*სახელები:*</u> 1. ადამ (ADAM) 2. სჰარეიფ (SHAREIF) <u>*დაბადების თარიღი:*</u> ა) 1970 წლის 1 იანვარი	ა) ადამ იაცუბ სჰანტ (Adam Yacub Shant) ბ) ადამ იაცოუბ (Adam Yacoub)	ა) პასპორტის ნომერი: P00182993, გაიცა 2010 წლის 19 ივლისს (ვადა შეუწყდა		2006 წლიდან 2012 და 2014 წლის 14 ივნისს.	როგორც ორკვევა [illegible] გაუდაიცვა [illegible] 2012 [illegible] 7 [illegible] [illegible]

(1 Jan. 1970); *<u>დაბადების ადგილი:</u>* ელ-ფასჰერ (El-Fasher) *<u>მოქალაქეობა:</u>* სუდანი *<u>თანამდებობა:</u>* სუდანის განმათავისუფლებელი არმიის (SLA) მეთაური		2015 წლის 18 ივლისს) ბ) ID ბარათის ნომერი: 103- 0037-6235 (როგორც მითითებუ ლია პასპორტში)		(25 Apr. 2006 (amended on 14 Mar. 2018))	ხელმისაწვდ ომია მისი ინტერპოლი ს -გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალურ განცხადებაშ ი შეტანის მიზნით. Reportedly deceased on 7 June 2012. Photo available for inclusion in the INTERPOL- UN Security Council Special Notice.

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში(მის: ქალაქი თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7ა), მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 (ორმოცდარვა) საათში, ხოლო თუ გადაცემა ვერ ხერხდება, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მის: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით.

მოსამართლე ლელა მილდენბერგერი